# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 45

2013 წლის 15 მარტი

ქალაქი ხაშური

**შპს „დელტა-კომმი“-სათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ოპტიკურ- ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის და საკომუნიკაციო არხის (ხაზობრივი ნაგებობა) ნშენებლობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მათ შორის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ გზის გასწვრივ) სამონტაჟო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 24.03.2009-ის N 57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-3 თავის, მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შპს „დელტა-კომმი“-ს აწარმოოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის და საკომუნიკაციო არხის (ხაზობრივი ნაგებობა) მშენებლობა;
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ.ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Khashuri Municipal Counsil
243908848